სახალხო გაზეთი

№ 544 ხუთშაბათი, 8 მარტი, 1912 წ. № 544

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვეკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოსკოვაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და „კანტორაში ყოველ-დღე ,ციერა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოობა 5-დან 8-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი—მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ ... თვით მხოლოდ დიდი წერილები და მეტ-ხელ-ბული—პირადად მარა... პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს"

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის" კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაზეგთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

ILსურათეგიანი დამატება

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.

| მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ხუთშაბათს, 8 მარტს,

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

გ ა მ ც ე ვ ი,

დრამა 4 მოქ. **ი. გედევანიშვილისა.**

მონაწილეობას ღებულობენ ქ-ნნი: ამირაჯიბი, ბეჟანიშვილი, ლეჟავა, ქილარჯიშვილი; ბ-ნნი: არადელი, ჟვიძე, მატარაძე, მგალობლიშვილი და ციცაშვილი. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი. მზადდება: რუსთაველი. (2.1146.2)

ქართული თეატრი

10 მარტს ქართულ თეატრში გაიმართება **სალიტერატურო საღამო,** შემდეგის პროგრამით:

I

მ. წულუკიძე. წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „სკულპტურა და მხატვრობა დასავლეთ ქვეყნებში".

II

ივანე გომართელი წაიკითხავს მოთხრობას. **ახოსპირელი**—ლექსს. **გ. დიასამიძე**—მოთხრობას. **გიორგ. ამირეჯიბი**—მოთხრობას, **კ. ჯაფარიძე**—ლექსი პროზათ.

III

ა. წერეთელი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ახალგაზდა პოეტი **ნოე ჩხიკვაძე**". ქუჩიშვილი ლექსი. ს. აბაშელი ლექსი. ბებიაშვილი ლექსი. ირეთელი წაიკითხავს ამ საღამოსთვის საგანგებოდ დაწერილ სატირას.

ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

გამგე ბ. ბეგლარაძე. (5—1142—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიანების ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტ ე ლ ე ფ ო ნ № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა).	11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე)	1—2.
	ციქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.)	9—10.
	მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით)	10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.)	2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე)	12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა)	12—1.
ფსიქიურ. ავადმყ.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.)	11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე)	10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე)	12—1.
საშობიარო და ქალთა სენ. (ქირურგ. გინეკოლ.)	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე)	11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე)	10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე)	12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე)	1—2.
ბავშვის ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა),	11½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე)	12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა)	12—1.
ნერვ. ავადმყ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით)	10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე)	1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე)	1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე)	2½—3.
თვალ. ექიმ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.)	2—2½.
კან. ვენერ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე)	1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassrman. რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე ფოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კანსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; **„6 0 6" წამლის** შეზაპუნება. ელექტროზით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—287)

გ ა მ ო ვ ი დ ა

სიმონ ქვარიანის ახალი თხზულება:

„ქართველი ერის ტრაგედია მე-17-ტე საუკუნეში"

(გიორგი საакაძე და მისი დრო) გიორგი საакაძის სურათით;

ფასი ორი აბაზი.

იყიდება **ტფილისში** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზ. წიგნ. მაღაზიაში და **ქუთაისის** წიგნის ყველა მაღაზიაში. (5—1134—4)

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

სამშაბათს, 13 მარტს 1912 წ. **ბენეფისი** ორკესტრის დირიჟორის

ს. ი. პრესმანისა

მესამე სიმფონიური კრება

ასრულებულ იქნება განსაკუთრებით **პ. ი. ჩაიკოვსკის** ნაწარმოებნი:

1. სიმფონია № 1 g—mole op. 13. სერენადა სიმებიანი ორკესტრისათვის op. 48. 3. უვერტიურა „1812 წელი." სიმებიანი ორკესტრი შესდგება 43 კაც. და იქნება სამხედრო მუზიკა. დასაწყისი საღ. 9 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (3—1149—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახელოვნების სახ. სახლი.

შაბათს, 10 მარტს 1912 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წყობილდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

ცხოვრების გარეშე

დრამა 4 მოქ. ვ. პროტოპოპოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გამრეკელი-ტორელი, ბეჟანოვა, მარ. გოგოლაშვილი, ა. კახელი, ე. ციმაკურიძე, ბ. ა-იაშვილი, ბ-ნნი კ. ხანანაშვილი, ს. რომანიშვილი, გ. ანაშვილი, გ. ფრონის-პირელი, ს. სანდალა, ინაშვილი და ჯანკვაძე. ადგილების ფასი 5 კაპ.—50 კაპეიკამდე. დასაწყისი 8 საათზე. ადმინისტრატორი **ან. ჭიაბერაშვილი.** (3—1006—1) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

ქ. ქ უ თ ა ი ს ი (ქალაქის თეატრი). **კვირას, 11 მარტს,**

ი. გრიშაშვილის საღამო-მეჯლისი

თაოსნობით გაიმართება

სამ განყოფილებად:

1) **კიტა აბაშიძე** წაიკითხავს **ლ ე ქ ც ი ა ს** შემდეგ თემაზე:

ლ. ტოლსტოი და **ილია ჭავჭავაძე,**

(პლატონ კარატაევი და ოთარაანთ ქვრივი).

2) წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს:

ა კ ა კ ი, დავ. კლდიაშვილი, ჭ. უმბაძე, ცახელი, დ. მესხი, ქ-ნი **ნ. ჩარექოვისა, ნ. ლორთქიფანიძე, ეშმაკის** შარეს წაიკ. №, **ს. აბაშელი, ვ. რუხაძე, ჯ. ჯორჯიკია, ტაბიძე, გუცა, სილოვანის** ლექსს წაიკითხავს—**ი. ზარდალაშვილი, ი. გრიშაშვილი.** 3 ტანისამოსსა და გრიმებში წაიკითხავენ ახალ სცენებს: **ნ. გოცირიძე**—სომხურს. **ვასო ბალანჩივაძე**—იმერულს. **მ. ნემო**—ებრაულურს. **ვას ურუშაძე**—გურულს. **ა. ყალობეგაშვილი**—გლეხურს. ი. **გრიშაშვილი**—კინტოურს. დასასრულს იმღერებენ „ვაი-ვუს" ხმაზე საამდროვო კუპლეტებს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში **დასაწყ. საღამოს 8 საათზე.** (4.1148.)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** **ახალ პატრონთა ხელში გადასული**

კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 საათ. ✦ 1—5 ს. ✦ 5—2 ს.

საუზმე—30 კ. ✦ **სადილი.** ✦ **ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი დოშით, საციკი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი ბილიარდი 60 კაპ. საჭმელებს სახლებშიაც ვაძლევთ თვიურად, დიდის შეღავათით.

(თ.—1132.7)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

აცხადებს, რომ სალიტერატურო კრებულ „გრდემლის" მეორე წიგნისთვის

მასალები მიიღება მარტის ბოლომდე.

კრებულის გამოცემა განზრახულია სამაისოდ.

მისამართი: ოლგის ქუჩის შესახვ. № 5 **გ. რცხილაძეს.** (10.1124.8)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

გ რ დ ე მ ლ ი

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.26)

დოქტორი მედიცინისა წამლოგა ჭლექისა

ბერლინის უნივერს. Ґ. Ґ. მეგრაგიანცი

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა

ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქალთოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—171)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დიეკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საუნი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლოლას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 253)

ექიმი **პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 საღამოს 5--7. (25.1045.63).

ფეხსაცმელები

ქალისა, კაცისა დიდი და პატარა, საუკეთესო მასალისაგან დამზადებული

თოლმა დ. ჯანყარაშვილის

მაღაზიაში, სახელოსნოში. ფეხსაცმელებს ვიკვეთავთ აგრეთვე ხელმისაწდომ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2. (25.285.1)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღება ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილსნებს. **ყოველ** დღე საღამ. 5--7-მდინ, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვახინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 123)

ელექტრონისა და რენტგენის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 94).

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი **კ ბ ი ლ ი ს ა** **იოსებ ზაქარიას ძე** **კ ა ნ დ ე ლ ა კ ი**

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50-1552-45)-

ექიმი **დ. ს ო ო ბ ა ს ი ა** **აპოლონ ლუკას ძე** **ტ ე ე მ ა ლ ა ძ ე**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს.

(თ.—235—17)

ექიმი **ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—111).

ექიმი **ქ. ქ უ თ ა ი ს ი.** **იროდიონ ამბროსის ძე** **ც ე ხ ა ნ ო ვ ს კ ი**

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი". (თ.— 129—10).

ექიმი **კ ბ ი ლ ი ს ა** **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა** **პ. ა. ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—42)

ექიმი **ი. ი. ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—1?)

ექიმი **ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—52.

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მკითხველებს ეხსომებათ სახელმწიფო სათათბიროში ხარჯაღრიცხვის განხილვის დროს მინისტრთა თავმჯდომარის ვ. ნ. კოკოვცევის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც რუსეთის ბიუჯეტის მდგომარეობისადმი უსაზღვრო ოპტიმიზმით იყო გამსჭვალული. ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სათათბიროს მემარჯვენე ფრაქციებზე. ამის გამო გაზეთი **„რუსკია ვედომოსტი"** სწერს:

როდესაც ჩვენი მთავრობის წარმომადგენელთა გემი განსაცდელში იმყოფება მემარჯვენე ორგანიზაციათა ნდობისა და მოთხოვნათა მხრივ, მხსნელ ლიუზად ოპოზიციის წინააღმდეგ გალაშქრება ეკლინება ხოლმე მათ, საჭირო არ არის ოპოზიციის მოსაზრებათა დარღვევა, საკმარისია მათზე რამოდენიმე ცხარე სიტყვები წარმოვსთქვათ: ხალხი თქვენ არ გემხრობათ და სხვა.

გაზეთის აზრით, კოკოვცევს ოპოზიციის არც ერთი საბუთი არ დაურღვევია:

შეგვიძლიან, ვსთქვათ, რომ შჩედრინის ცნობილ გმირის მსგავსად „ორატორმა არამც თუ მიაღწია თავის მიზანს, არამედ თვითონ თან და თან დაჰშორდა მას.

გაზეთი **„რეჩი"** სწერს:

ჩვეულებრივად, ფინანსთა მინისტრმა და ხარჯთ-აღრიცხვის კომისიის თავმჯდომარემ გვერდი აუხვიეს ეკონომიურ ცხოვრების პოლიტიკურ ცხოვრებასთან კავშირს. ამას შეუძნევლად ვერ დასტოვებდნენ ოპოზიციის წევრები და მათ მიერ დასურათებულმა მდგომარეობამ უნდა მიიპყროს საზოგადოების განსაკუთრებითი ყურადღება.

„რუსკოე სლოვო" კოკოვცევის სიტყვის იმ ადგილის შესახებ, სადაც იგი აღიარებს: ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის გამარტივებულ წეს-რიგს შეურიგდებითო, შემდეგს სწერს:

სათათბიროს, რამდენადაც ჩვენ ვიცით, დაარსებულია იმისათვის, რომ ხალხის წარმომადგენელნი სახელმწიფოებრივი სარგებლობისა და კანონმდებელ ზომების სისწორისა და აუცილებლობის საკითხებში უფრო მცოდნე პირებად არიან აღიარებულნი, ვიდრე მმართველი ბიუროკრატია.

ექიმი **შ. ა. მ ი ქ ე ლ ა ძ ე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

გ ა მ ო ც ე ბ ი ლ მ ა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავალო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრედვე გააგრძელებს მიღებას:

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომველთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 25, кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ спросить учителя.

А съ Елизаветической ул. д. № 38. (на далеко отъ памяти. Воронцову).

(თ. 1084-106

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლოგა 606 -

(წლ. 1090 290)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპასოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

მოხნე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

გრეიცი. თვალისა, 1—2 საათამდე.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა. კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—1. ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის თანშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპნა და კატეტერიზაცია. (თ. 1032—60).

სახელმწიფო სათათბირო

დეკეშები

როძიანკო თავმჯდომარეობს.

გადასწყვიტეს საღამოს სხდომა გამართონ ხუთშაბათს, რადგან ეროვნებისა და ქალაქებისათვის კრედიტის მოწყობის საკითხი საჩქაროა.

განაგრძეს საზოგადო კამათი სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზე. მინისტრთა ლოჟაში სინოდის ობერ-პროკურორი ზის.

გეგეჭკორმა სათათბიროს მოაგონა, თუ როგორი შეხედულებისანი არიან სოციალ-დემოკრატები რელიგიასა და საზოგადოდ სინოდის ხარჯთ-აღრიცხვაზე. შემდეგ მოიყვანა ძარქსის შეხედულება ხალხის ცხოვრებაში რელიგიის მნიშვნელობაზე. მერმდეგ მოიხსენია სამღვდელოების მონაჯილეობა სიკვდილით დასჯაში (მარჯვნივ ხმაურობა ასტყდა, სამღვდელოებამ პროტესტი განაცხადა. რაოდენიმე მღვდელი დარბაზიდან გავიდა. თავმჯდომარემ გეგეჭკორი გააფრთხილა). სახელმწიფო და ეკლესია ხელიხელ ჩაკიდებულნი სჩაგრავენ ხალხსა. ვერც საეკლესიო კრება, ვერც რეფორმები საქმეს ვერას უშველიან. საჭიროა ვეცადოთ ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებას. ხალხის საეკონომიო ინტერესების მიხედვით საჭიროა ეკლესია არსებობდეს კერძო ხარჯითა. ეხლა მონასტრების შესანახად, სადაც ბერები მუქთახორობენ, მილიონები იხარჯება. მოლაპარაკემ დაწვრილებით აღწერა მონასტრების ცხოვრება, მათი სიმდიდრე და დასძინა: სარწმუნოება სრულიად არ აწუხებთ, იგი მხოლოდ იარაღია საპოლიტიკო ასპარეზზე ბრძოლისა და ნაციონალისტური იდეების განხორციელებისათვის. ამის ნათელსაყოფად საკმაოა იმ ბრძოლის დასახელება, რომელსაც საეკლესიო უწყება ეწევა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ: საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობა წაართვეს ასის წლის წინად და ეხლა სისტემატიურად სდევნიან, მისი სიწმინდენი გაძარცვეს, ქონება ჩამოართვეს, ქართულად წირვა-ლოცვა აკრძალეს. ჩქარა დადგება დრო, როდესაც დემოკრატიული ელემენტები მიაგნებენ სახელმწიფოს გამათახსირებელ-ა და გაანთავისუფლებენ ამისთანა ბოროტებისაგან (მემარცხენეთა ტაში).

მ. ტრეგუბოვს სრულიად არ უკვირს სოციალ-დემოკრატთა ეკლესიისადმი სიძულვილი. იგი წინ ეღობება სოციალდემოკრატების იდეალების განხორციელებასაო. მოლაპარაკემ მოითხოვა, მეტი ყურადღება მიაქციეთ სამრევლო სკოლებსა და შეეხო აგრედვე სამღვდელოების უზრუნველყოფის საკითხსა. საჭიროა უწყებამ იღონოს რამე დამშეულ გუბერნიებში სასულიერო პირთა დასახმარებლადაო.

გრაფმა უვაროვმა აღნიშნა დაჩაგრულობა სოფლის სამღვდელოებისა და მოითხოვა ჯამაგირის დანიშვნა. უჯამაგიროდ სამღვდელოება ვერ შეს ძლებს დამოუკიდებულობას. საჭიროა მღვდელთა საარჩევნო უფლების შემოღება. რუსეთის ეკლესიას მხოლოდ საეკლესიო კრება თუ უშველის. მაგრამ არა სინოდისებური, ბერებისა, არამედ მთლად სამღვდელოებისა და საერობო პირებისა.

ლიპიაგოვმა აღნიშნა: ფაქტიურად ყველაფერს სინოდის ობერ-პროკურორი განაგებს, თუმცა არც სინოდია სამღვდელოების აზრის გამომხატველი. საჭიროა არა კუდმოკვეცილი რეფორმები არამედ ძირითადი ცვლილება ყველაფრისა.

ეპისკოპოსმა მიტროფანემ ილაპარაკა სამრევლო სკოლების თაობაზე და მისთვის ფულის გადადებას გამოესარჩლა. შემდეგ შეეხო ეპ. გერმოგენის ამბავს და სთქვა: იგი დაითხოვეს, რადგან არ დაემორჩილა სინოდს, ფიცი გასტეხაო. მაგრამ ყველაზე სამწუხაროა სინოდის გადაწყვეტილებისა და რასპუტინის ისტორიის დაკავშირება, რის წინააღმდეგაც ძლიერი პროტესტი უნდა განაცხადოს ყველამ, ვისაც ეკლესიის საქმეები ეინტერესება. ბევრსა ჰგონია, ვითომც კრება ეკლესიას დაასუსტებდეს. არა, იგი აღმოაჩენს მხოლოდ რუსეთის საზოგადოების იარებსა.

მამა სტანისლავსკიმ აღნიშნა, აქ მოლაპარაკეთ ჰსურდათ სინოდს ობერ-პროკურორისა და სინოდის ხალხის თვალში დამცირება, მაგრამ რუსის ხალხმა ყური არ უნდა უგდოს იმ პირთა, რომელნიც სცდილობენ ეკლესიის შერცხვენასა.

მამა ტიტოვმა სთქვა, საეკლესიო ცხოვრებას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ყველაფერი ძველებურადაა. სამრევლო რეფორმა ჯერ არ განუხორციელებიათ. ნათლად არ არის განსაზღვრული ობერ-პროკურორისა და სინოდის ურთიერთობა. შემდეგ ტიტოვი შეეხო გერმოგენის დათხოვნას და საეკლესიო კრების მოწვევის საჭიროება აღნიშნა.

ობერ-პროკურორმა ყველას უპასუხა. მოუსავლობით დაზარალებულ გუბერნიების სამღვდელოებას ჯერ კიდევ გასულ წელს მისცეს 53 ათასი მანეთი.

კროპოტოვი სჩივის, სინოდის ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშნულ ფულს უთავბოლოდ ჰხარჯავენო. სათათბიროსთვის ერთხელაც არ წარმოუდგენიათ ანგარიში. ჯამაგირის დანიშვნა ხალხის გაჭირვებას ვერ შეამსუბუქებს: იგი იძულებული იქნება მაინც აძლიოს მღვდლებს სხვა და სხვა წესის ასრულებისათვის ფულიო. საჭიროა მღვდლების არჩევა მრევლს მიენდოს და თავისუფალი ხელშეკრულება დაედოს საფუძვლად.

ახალი ამბავი

ტფილისი.

✦ არჩილ ჯორჯაძის წერილი მ. ვ. მაჩაბლის საპასუხოდ ხვალის ნომერში დაიბეჭდება.

✦ ილიას ძეგლი. ინჟენერმა პეტრე მამრაძემ უკვე შეადგინა და წ.-კ. მთავარ გამგეობას წარუდგინა ესკიზი მოაჯირისა ილიას ძეგლის გარშემო. ბ-ნ მამრაძის გამოანგარიშებით მოაჯირი 700 მან. დაჯდება. გამგეობამ ესკაზი მოიწონა და მოაჯირის გასაკეთებლად საჭირო ფული გადასდო. ამასთანავე დაადგინა, დაავალოს პ. მამრაძეს, რათა ილიას საფლავზე ძეგლი მოაჯირით, რაც შეიძლება, ჩქარა დასდგას. ძეგლის კურთხევა განზრახულია ნაადგომევს.

✦ ჩერქეზიშვილის სახელობის სკოლის შენობის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის სბჭოს სასკოლო კომისიამ ხმოსანს ა. ს. ბაბოვს (ინჟენერს) გადასცა განსახილველად, როგორც სპეციალისტს.

✦ ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. პ. ი. თუმანიოვილი 6 მარტს პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიის შედგენა ქალაქის გამგეობამ სასტატისტიკო ბიუროს მიანდო.

✦ სახალხო სახლში 1911 წლის განმავლობაში გაუმართავთ 233 წარმოდგენა, 17 ლექცია სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ და 35 კერძო ლექცია და კონცერტი. წარმოდგენები გაუმართავთ 10 ენაზე: რუსული—57, ქართული—55, სომხური—44, მალოროსიული 30, ებრაული 10, ოსური 7, ბერძნული 1, პოლონური 1 და აისორული 4. სულ დასწრებია 157,889 კაცი. შემოსავალი ყოფილა 36,660 მან., რომლიდანაც 11,361 ქალაქს აუღია სახალხო სახლის შესანახად.

✦ მანთაშევის სავაჭრო სკოლაში 27 მოსწავლე გაანთავისუფლეს სწავლის ფულისაგან.

✦ ტრამვაის გამოსყიდვა. ქალაქის გამგეობამ თხოვნით მიმართა ქალაქებს: ადესასა, კიევსა, პეტერბურგსა და ბაქოს, გამოგვიგზავნე მასალები ტრამვაის გამოსყიდვის შესახებაო.

✦ ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა, სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს მიერ მოწონებული კანონი, რომელიც ტფილისის **მიხეილის საავადმყოფოს ახალ შტატებს აწესებს.**

✦ ხმოსანმა ა. მიტკევიჩ-მა ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევის შესახებ ქალაქის გამგეობას წერილობით წარუდგინა თავის აზრი. როგორც მკი-თხველებმა იციან, მოადგილედ არჩეულ იქმნა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ეს არჩევნები ბ-ნ მიტკევიჩს უკანონოდ მიაჩნია, რადგანაც საქალაქო დებულების ძალით ყუთი უნდა დაედგას გამგეობის ყველა წევრსა და არა მსურველსაო. გამგეობის წევრთ, როგორც ამ თანამდებობის პირთ, უფლება არა აქვთ, უარი სთქვან მოადგილის თანამდებობაზე ყუთის დადგმაზეო. ამას გარდა არჩევნების დროს კრებას გამგეობის ყველა წევრი უნდა დაესწროსო, იმ კრებას კი, რომელზედაც არჩევნები მოხდა ნ. პ. ქოჩაევი არ დასწრებია. გუშინ ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა განკარგულება მოახდინა, რათა ხმოსან მიტკევიჩის განცხადება სხვა ქალაქდებთან ერთად გუბერნატორს გაეგზავნოს.

✦ დეპუტატ გეგეჭკორის ლექცია შეკითხვების შესახებ იურიევში აღუკრძალავთ.

✦ ქალაქის საბჭოს სარევიზიო და საადგილ-მამულო კომისიების წევრნი კვირას, 11 მარტს, საქალაქო მიწებს დაათვალიერებენ.

✦ უკვალოდ დაიკარგა სომეხთა ნერსესიან სემინარიის მოსწავლე რომანოზ ტერ-ბაღდასარიანცი, 16 წლისა.

✦ შეიპყრეს 3 მარტს თელავის მცხოვრები შაქრო შარმაზანოვი, რომელსაც თელავის ადმინისტრაცია სისხლის საქმეების ჩადენისათვის დაეძებდა.

✦ ამბაკო ულულავას დაჭრის გამო 6 მარტს შეიპყრეს ალექსანდრე ფოილაძე, რომელ-აც განაცხადა, ულულავა მე და კაცია ფირცხალავამ დავჭერითო.

✦ 6 მარტს, საღამოს 9 საათზე, მოღნინის ქუჩაზე იპოვეს მკვდარის ბავშვის (2-3 დ. ისა) გვამი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოს სანატომიო თეატრში წაიღეს.

✦ 6 მარტს ტფილისში 30 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქტორი **იასონ გაბილაია გაემგზავრა პეტერბურგში** წვრილი კრედიტისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მოღვაწეთა კრებაზე დასასწრებლად, როგორც წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიიდან. ბ-ნი გაბილაია წაიკითხავს მოხსენებას: „კოოპერაცია საქართველოში“: იგი მიიღებს მონაწილეობას მოსკოვის საბალხო ბანკის დამფუძნებელ კრებაზედაც, 28 მარტს. ბ-ნი გაბილაიას პეტერბურგში გამგზავრების გამო ჟურნალ „კოოპერაციის“ მორიგი ნომერი გამოვა მომავალ თვის პირველ მორიგ. ნომერთან (32 გვ.). ჟურ. კოოპერაციის კანტორა კვლავინდებურად ღია იქნება დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე. მიიღებს ქ-ნი მ. დავითაშვილისა. ბ-ნი გაბილაია მოლაპარაკებას გამართავს მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის ბიუროსთან ჩვენში განყოფილების დაარსების თაობაზე.

საზოგადოებანი და კრებები

✦ ქალაქის საბჭოს კომისიებში. დღეს საფინანსო კომისიის კრება მოხდება მიმდინარე საქმეთა განსახილველად.

ხვალ საბალნეოლოგიო კომისიის კრება მოხდება. კომისია გაიცნობს, რა მდგომარეობაში იმყოფება ტფილისში საბალნეოლოგიო სადგურის მოწყობის საკითხი.

ხვალ, 9 მარტს, პენსიებისა და დახმარებათა აღმოჩენის საქმის გამგე კომისიის კრება მოხდება.

საიუბილეო კომისიას ერთი წევრიც მიუმატეს: ხმოსანი ა. ა. ბებუთოვი.

საფინანსო კომისიას, რომელშიც 12 წევრი იყო, ხუთი ახალი წევრი მიუმატეს: ს. გ. მაზმანოვი, ს. ხ. სულხანოვი, ს. ა. გალსტიანი და ა. ს. ბაღდასაროვი. მეხუთე წევრს ქალაქის საბჭოს მომავალ კრებაზე აირჩევენ.

ქალაქის საბჭოს კომისიები თავის უახლოეს კრებებზე შეიმუშავებენ კომისიებისთვის სავალდებულო ინსტრუქციებს.

✦ ქართველთა საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოებაში ორშაბათს, 5 მარტს ბ-ნმა **დ. გ. კარიჭაშვილმა** წაიკითხა რეფერატი: „წარმართ ქართველობის ღმერთების სახელები ქართულ მატიანეებში“. მომხსენებელმა აღნიშნა სხვა და სხვა რელიგიათა (მაზდეიზმი, ასურელთა რელიგია და სხვ.) გავლენა. რეფერატმა ხალისიანი კამათი გამოიწვია.

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გაგზგეობამ 6 მარტის კრებაზე დაადგინა, წინადადება მისცეს საზოგადოების ბორჯომის განყოფილებას ხელმეორედ დაინიშნოს განყოფილების თანამდებობის პირთა ასარჩევად, რადგანაც 29 იანვრის საზოგადო კრებაზე, არჩევნების დროს, წესდების მეთერთმეტე მუხლი დაურღვევიათ. დარღვევა გამოხატულა იმაში, რომ 29 იანვრის კრებაზე ახლად მიღებულ წევრთათვის, რომელთაც საწევრო ფულიც არ შეუტანიათ, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მიუცია.

✦ ქალაქის სასკოლო კომისიამ თავის უკანასკნელ კრებაზე განიხილა თხოვნა ქალაქის სკოლების ხუთის გამგისა, რომელნიც ხანგრძლივ სამსახურისთვის ჯამაგირების მომატებას თხოულობდნენ. სასკოლო კომისიამ დაადგინა, შეეკითხოს ქალაქებს ოდესასა, კიევსა და ხარკოვს, როგორია იქ ამგვარ საკითხების მდგომარეობა.

სასამართლო

✦ ტფ, ოლქის სასამართლოს სესია დუშეთს გაემგზავრა სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად.

ქუთაისი.

✦ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზმა გიორგიმ „კოლხიდის“ რედაქციას ექესი თუმანი გაუგზავნა ერთდროულ დახმარებად წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებისთვის.

✦ ქუთაისში ქართველ ლიტერატორთაგან წრე შედგა, რომელიც მარტის 10 რიცხვიდან **გიორგი საკაძის გასამართლებას მოაწყობს** ფოთსა, სოხუმსა, ბათუმსა და სამტრედიაში.

✦ ხუთშაბათს, 8 მარტს ელეკტროთეატრ „რადიუმში“ ახალი, დიდათ საინტერესო პროგრამით დანიშნულია სეანსი წ. კ. ს. ქუთ. განყოფ. სამკითხველოს სასარგებლოდ, რომელიც არქელის გორაზეა დაარსებული. იმედია საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ამ სიმპატიურ მიზანს. („კოლხ“)

✦ დაბა ზესტაფონში 5 მარტს საღამოს 10 საათზე, როდესაც კოლია ნემსაძე ღვინით შეზარხოშებული სახლში მიდიოდა, მას გზაში რამოდენიმე შეიარაღებული პირი დახვედრია და აუტეხია სროლა. სროლის დროს **მოუკლავთ ნემსაძე,** ქუჩაში მიმავალი გლეხი მჭედელი მსუბუქათ დაუჭრიათ. მკვლელები ძიმალულან. გამოძიება სწარმოებს.

✦ 5 მარტს ღამით ქუთაისში **პოლიციამ გაჩხრიკა** რამოდენიმე ოჯახი, სხვათაშორის მოწაფეები: ქუთ. სათ. აზნ. გიმნაზიის კ. გამსახურდია და ს. წერეთელი. წერეთელი, რაღაც საეჭვო ქაღალდებისათვის დაუპატიმრეს. აგრეთვე გაჩხრიკეს ქუთ. სათავ. აზნ. გიმნ. მე 8 კლას. მოწაფე აპალონ მესხი.

✦ 8 მარტს **სამოსამართლო პალატა** ლაგოდას თავმჯდომარეობით გაარჩევს თოფურიას, ბაკურიას, ჭანტურიას, ბენიძის და იმედაშვილის საქმეებს. ესენი პასუხის გებაში არიან მიცემული სისხ. სამ. დებულების 1451 1455—1459 მუხ. ძალით.

✦ ამ ბოლო ხანს სოფლებში ძლიერ გახშირებულა სახადი. საექიმო დახმარების უქონლობის გამო ბევრი ავათმყოფი სიცოცხლეს ესალმება.

✦ ქუთაისის რგ. ციხიდან კვირას 4 მარტს ბოდოლის გუბერნიაში **ეტაპით გაგზავნეს კვიმსაძე.** კვიმსაძე ბოდოლის გუბერნიაში სალდათად ყოფილა გამოგზავნილი და იქიდან თავის ნებით წამოსულა.

✦ 5 მარტს, ქუთაისის ქალაქის საბჭომ უარჰყო ქალაქის სამასწავლებლო კომისიის მოხსენება შესახებ, იმისა, რომ **მკურნალის გიმნაზია ქალაქს** თავის სახელზე გადაეტანა და შუამდგომლობა აღეძრა გიმნაზიისათვის უფლებების მოსაპოვებლად. ამავე სხდომაზე დაადგინეს, რომ ბ-ნ რომანოვის ქიმიური ლაბორატორია ქალაქმა შეისყიდოს 5062 მანეთად.

✦ ი. გრიშაშვილის „საღამო-მეჯლისი“ გაიმართება ქ. ქუთაისს კვირას, 11 მარტს შემდეგის პროგრამით: პირველ განყოფილებაში კიტა აბაშიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ლ. ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე“ (ჰლატონ კარატაევი და ოთარაანთ ქვრივი). მეორე განყოფილებაში წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს შემდეგი მწერლები: ალ. ცაგარელი, ალ. ყაზბეგი, ალ. ყაზბეგი, ალ. ცაგარელი, ალ. ყაზბეგი, ალ. ცაგარელი, ალ. ყაზბეგი, ალ. ცაგარელ

ლები: მხცოვანი მგოსანი აკაკი, დავ. კლდიაშვილი, ქ-ნი ნ. ჩარქოვისა, ჯ. უმბაძე, ცახელი, დ. მესხი, ნ. ლორთქიფანიძე, ვ. რუხაძე, ჯ. ჯორჯიკია, ს. აბაშელი, გ. ტაბიძე, გუცა, და ი. გრიშაშვილი, სილოვანის ლექსს წაიკითხავს მსახიობი ზარდალიშვილი, ეშმაკის შარჟს წაიკითხავს მსახიობი ივ. ბარველი, მესამე განყოფილებაში: ტანისამოსსა და გრიმებში წაიკითხავენ ახალ სცენებს: ნ. გოცირიძე (სომხურ სცენებს) ვასო ბალანჩივაძე (იმერულ სცენებს), მ. ნემო (ებრაულ სცენებს), ა. ყალაბეგიშვილი (გლეხურ სცენებს), ვასო ურუშაძე (გურულ სცენებს) და ი. გრიშაშვილი (კინტოურ სცენებს). დასასრულ იმღერებენ „ვაი-ვუის“ ხმაზე საამდროვო კუპლეტებს.

✦ ხმები ქუთაისის ახალ გუბერნატორის დანიშვნის შესახებ. „ბირჟევ. ვედ.“ სიტყვით ქუთაისის გუბერნატორად გენ. სლოვოჩინსკის მაგივრად ინიშნება თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველი, ეხლანდელი ვილნოს სამხედრო მოსამართლე გენერალ-მაიორი **მუსტაფინი.**

✦ 5 მარტს ქუთაისში გარდაიცვალა თავადი **ჯაბა გურიელი,** ძმა განსვენებული პოეტის შამია გურიელისა.

✦ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორს ბ-ნ ალ. გარსევანიშვილს განზრახული აქვს აიღოს მთავრობისგან ნებართვა ქუთაისის გუბერნიის ყველა დაბებში და ქალაქებში იმ ლექციების კითხვის, რომლებიც მან ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში წაიკითხა.

(„ცხოვრება“).

ჯიათურა

✦ 18 მარტს, ჯიათურის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეები, 5 და 6-სე კლასები, გაემგზავრებიან ფოთს, სოხუმს და ბათუმს—საბჭომ უკვე გადასცა საექსკურსიოდ ორასი მანეთი.

✦ კვირას 11 მარტს, ბენეფისია ქ-ნ არ. ლოლუასი, ითამაშებენ ნუდერმანის ოთხ-მოქმედიან დრამას: „ივანობის ღამე“,

✦ ამ მოკლე ხანში განზრახვა აქვთ სამოქალაქო სასწავლებელში სალიტერატურული დილა გამართონ.

ბაქო

✦ **ტაგიევ-ბებუთოვის საქმის გარჩევას** სასამართლო 6 მარტს შეუდგა. ცნობილ მილიონერს ტაგიევს ბრალად ედება ის, რომ თავისი მოურავი ბებუთოვი სახლში მიიწვია და საშინლად აწამა.

დეკეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

პეტერბურგი.

სათათბიროში ნათქვამმა გეგეჭკორის სიტყვამ, რომელიც ივერიის ეკლესიის შევიწროებას ეხებოდა,

---

შესწავლის ნაყოფი როგორღაც არ ეგუება ოფიციალურ ფემინიზმის იმედებს. მესამოცე წლებში ინტიმური ცხოვრება ქალისა ნაკლებად იყო შესწავლილი. ის კი, რაც იმალება ამ სიცოცხლის სიღრმეში ხშირად მოულოდნელია ჩვენთვის, როდესაც საკითხს მხოლოდ გარეგნულის თვალით უყურებთ და როდესაც გვგონია, პირობები შესცვალეთ და ყოველივე შეიცვალაო. ამას წინად რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნეს ცნობილ პროფესორის სოფია კავალევსკის ქალის მიწერ-მოწერა თავის მეგობარ ქალთან. ერთ წერილში ვკითხულობთ: „იქნება იცოდე გაზეთებიდან, რომ მე პროფესორად დამნიშნეს და რომ უკვე გავათავე მათემატიკური შრომა, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში მაინტერესებდა. მაშასადამე, მე ბევრი მიზეზი მაქვს სიხარულისა. მაგრამ მე კარგა ხანია ასე მწვავედ არ მიგრძვნია სიცოცხლის არარაობა და მოწყენილობა... იძულებული ვიყავი დიდხანს მემუშავა, რათა მივღწეულიყავი ამ მცირედ ნაყოფს. ეხლა კი მგონია, რომ ეს ნაყოფი იმად არ ღირდა, რომ ამოდენა ჯაფა დავხარჯე“ („Рѣчъ“, № 29, 1912). მოდით და მოიყვანეთ აღფრთოვანებაში სოფია კოვალევსკისთანა პროფესორი ქალი ფემინისტიური ფილოსოფიის კოდექსით. ყველას მიიღებს, არას უკუაგდებს, მაგრამ დაუკმაყოფილებელი გული ისევ მშიერი დარჩება. ჩვენი ახალგაზდა მწერალი ქალ-ვაჟთა ურთიერთობას მუსიკალურ ჰარმონიას ადარებს. ამის გამო მაგონდება ერთი წერილი ლ. ტოლსტოისა ექ. შკარვანთან მიწერილი: „ორ სხვა და სხვა მელოდიაში ერთი და იგივე ხმებს შეხვდებით. განსხვავება იმაშია, რომ ერთი ხმა უფრო ადრე ისმის, ერთი უფრო გვიან და განსაკუთრებით კი იმაში, რომ ერთ ხმას სხვაზე უფრო მეტად ხაზს უსვამენ. სწორედ ამგვარივე მოვლენაა ადამიანურ გრძნობათა გამაში. კაციც, ქალიც, ერთი და იგივე ხმებს აჟღერებენ. მაგრამ ისინი სხვა და სხვა ნაირად უსვამენ ხაზს სხვა და სხვა ხმას. აქედან ყოველივე სხვანაირად გამოდის. (Изъ письма Толстого къ Шкорвану). ეს მუსიკალურ ჰარმონიის გახსენებაზე მომაგონდა. ქალ-ვაჟთა ურთიერთობაში ეს ჰარმონია ხშირად დისგარმონიად იქცევა.

ვიმეორებ, არაფერს არ უარ-ვყოფ და არ ვეკამათები. მესამოცე წლების შემდეგ კარგა ხანმა განვლო. მე მინდა ვსთქვა მხოლოდ, ამ ხანგრძლივ გამოცდილების შემდეგ მეოცე საუკუნის შვილს ის გულმხურვალე მთლიანობა და რწმენა აღარ აქვს. ეს არ არის სკეპტიციზმი, რომელიც ღრღნის და სიცოცხლეს აცლის ადამიანს, ეს არის დაუკმაყოფილებელი აზრი, რომელიც ნიადაგს ეძებს, აღრმავებს და წინ მიისწრაფვის.

ასეა თუ ისე, ქალთა საკითხის შესასწავლად ნ. ინაშვილმა მოამზადა ნიადაგი ქართულს ლიტერატურაში. და უნდა ვსთქვათ, რომ ყოველი ეს ლითონი სიტყვა არ იყო იმ ხანებში. ჩვენშიაც ჩნდება პატარა მასშტაბით ქალთა მოძრაობა დამოუკიდებლობის და განათლების მოპოებისადმი. თან და თან საზოგადო მოქმედების ასპარეზზედ ჩდებიან ქალებიც. 1870 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 1) დაიბეჭდა ეკ. თარხან-მოურავის ქალის (შემდეგ გაბაშვილის ცოლის) წერილი: „გლეხკაცების

ტად ბულვალს **ექიმი ნაზარეტი** იცავს და იქამდისაც-კი მიდის რომ კერძო თათბირის დროს უთქვამს. ვიდრე მე ცოცხალი ვარო, ბულვარში თეატრს ვერავინ ააშენებსო. იქნება ასეთი დაქანდება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ იგი ახასიათებს ერთ ნაწილს საზოგადოებისას, რომელიც ფიქრობს რომ „ბულვარი ერთად ერთი სასეირნო ადგილია ქუთაისში და მისი შევიწროება, სხვა რომ არა სთქვას-რა კაცმა, დიდი დანაშაულია მოქალაქის წინაშე.

ასეთი მსჯელობა საფუძვლიანია, მაგრამ თეატრიც ხომ უფრო მეტად საჭიროა ქალაქისათვის ვიდრე ბულვარი, რომლის მსგავსი ბაღების გაშენება ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში არც ისეთი ძნელი საქმეა. სამაგიეროდ თეატრის შენობა, რომ სადმე გადაკარგულ ადგილს აშენდეს, არავინ დარჩება მადლიერი. ესეც რომ არ იყოს, არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ თეატრის ექსპლუტაციას დიდი ხარჯი უნდა და მივარდნილ ადგილს აშენებული თეატრს არავითარი კერძო შემოსავალი არ ექნება, ხოლო თუ ბულვარში აშენდა 4—5 მაღაზიის შემოსავალი ადვილად გაუძღვება თეატრის ხარჯს.

ეს ერთი მხარე წამოყენებულ საკითხისა.

მეორე ის არის, რომ რა საშუალებით მესძლებს ქალაქი კერძო პირის ადგილის შეძენას? ზოგიერთი ამბობს ეხლანდელი თეატრის განახლება იმდენ ფულს დასტოვებს, რომ თუ სულ არა, ერთ ნაწილ ადგილის შეძენის ხარჯისას გაუძღვებაო; ეს მართალია, მაგრამ თეატრი ქალაქს დაგირავებული აქვს და, რაც უნდა იელ-საყრელ ფასად გაიყიდოს, 20—25,000 მანეთზე მეტი ვერ დარჩება ქალაქს და დანარჩენ 50 ათას მაინეთს სადღა იშოვნის ქალაქი, რომელიც ჩვეულებრივ ხარჯებსაც დიდის ვაი ვაგლახით უძღვება.

მესმის ბულვარის მოტრფიალეთა გულის-წყრომა, მაგრამ იგი მაშინ უფრო გასაგებია. როცა ეს პირნი დაასახელებენ იმ საშუალებას, რომლინ დახმარებით შესაძლებელი გახდება ქალაქისათვის შედარებით თვალ-საჩინო ადგილის შეძენა. უამისოდ ყველას უფლება ექნება სთქვას, რომ ბულვრის შეუხებლობის გულისათვის თეატრის აშენების საქმეს აფერხებენ.

V „თქვენგან მიღებული სასჯელი სუსტია იმ დანაშაულთან შედარებით, რომელიც მოსწავლე ქალიშვილებმა ჩაიდინეს **„წმ. ნინოს სასწავლებელში“.** ასე თურმე სწერს უმაღლესი მთავრობა ამ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს და თან დასძენს — ხელ-ძეორედ განიხილეთ ეს საკითხიო.

ამ ნაირივე საქმე მოხდა შარშან სავაჟო გიმნაზიაში, რომლის პედა-

---

ზრი სასოფლო სკოლებზე“. ამ წერილის გამო გაზეთის მახლობელ ნომერში დაიბეჭდა ძისალმების მსგავსი დარია მამაცი შვილის წერილი. იგი სწერდა: „ჩვენ ყოველთვის საზიხარულოდ გვაქვს, როდესაც დედათა-სქესი წერას მიჰყოფს ხელს, ნამეტნავად ჩვენში. თქვენით ვცნობთ, რომ ჩვენშიაც მოიპოვებიან გონება-გახსნილი ქალები, რომელნიც ზრუნვენ საზოგადო საქმის წარმატებისათვის. დედანო და დანო! დროა გავიღვიძოთ. ჩვენზედ არის განსაკუთრებით დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის წარმატება და ბედი! თუმცა მამაკაცნი ჩვენ აღგვმატებიან ძალით, სწავლის ღონისძიებით, თავისუფლებით, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ იმათი კეთილზნეობა, იმათი გონების მოძრაობის კეთილი მიმართულება ჩვენ ხელშია.... სიამოვნებით ვცანით თქვენის სტატიიდან, რომ ჩვენ საქართველოში არიან ნამდვილად განათლებული ქალნი, რომელთაც არა თუ არ ეზიზღებათ დაბალი ხალხი, არამედ თვალყურს ადევნებენ გლეხკაცს, შედიან იმის მდგომარეობაში, მოისმენენ იმის ლაპარაკს იმის საჭიროებაზედ და შეჰყვებიან იმის ღარიბს ქოხში იმ აზრით რომ გაერთონ იმის სჯაში, უჩვენონ იმას ყოველივე იმისი შეცდომილება, რომ. ერთის სიტყვით, თვალი გაუხილონ ჭეშმარიტებაზედ და კეთილ-გონიერს გზაზედ დააყენონ... განგიცხადებთ უგულითადეს თანამგრძნობას და დავშთები მხურვალე მოსურნე სრულის წარმატებისა ყოველს საქმეში, რაკი ხალხის განსწავლას და კეთილდღეობას შეეხება.

1871 წ. ივნ. „მნათობში“ იბეჭდება ფანნი ლევალდის ვრცელი

გოგიურ საბჭოს, რამდენადაც ვიცით, ოლქის მზრუნველმა უკარნახა, რა ზომით უნდა დასჯილიყვნენ ის მოწაფენი, რომელთაც მურომცევის ხსოვნის პატივისცემა იკისრეს და 8 ახალგაზდა სასწავლებლის გარეშე დარჩა.

ამ ნაირივე მოწერილობა მოსვლია წმ. ნინოს სასწავლებლის პედაგოგიურს საბჭოს. შესძლებს თუ არა ეს უკანასკნელი თავისი წინანდელი გადაწყვეტილება დაიცვას? ამ კითხვის პასუხის გაცემა ეხლანდელ პირობებში არც ისე ძნელია, მაგრამ ჩვენ მაინც დავიცადოთ და ვნახოთ რას იტყვიან პედაგოგები 6 ამ თვეს, როცა თათბირია დანიშნული ამ საგანზე.

მანადის კი, როგორც ნამდვილი წყაროებიდან შევიტყეთ, 5 იანვარს, ქალაქის საბჭოს მორიგ კრებაზე ხმოსნების ერთი ჯგუფი ამზადებს შეკითხვას ქალაქის მოურავის მიმართ წმ. ნინოს სასწავლებელში მომხდარ ინციდენტის გამო. თურმე აზრადა აქვთ ქალაქის თავს სთხოვონ რამდენიმე ხმოსანთან ერთად დეპუტაციად წავიდნენ ტფილისში ვისთანაც ჯერ არს.

კახეთის რკინის გზის აქციები და ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები *).

ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში, თავ. ლელო დიმიტრის ძე ანდრონიკაშვილი აცხადებდა „Тифл. листокъ“-სა და „სახალხო გაზეთში“:

„მხედველობაშია მისაღები, რომ მესაკუთრეთა უმრავლესობა არ იცნობს ძომავალ რკინის გზის საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის საქმის წესს, რომლის დროსაც თვალსაჩინო სასყიდელი ეძლევათ ხოლმე, და მსურს ამ საქმეში დახმარება გავუწიო. ამისათვის ჩემ მიერ დაარსებულ კაბინეთში მოვიწვიე გამოცდილი კაცი, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის გზის გაყვანის დროს მამულების გამოსყიდვის საქმეში აგენტად იყო—პ. ანდრეევი, რომელიც განაგებს მემამულეთა ინტერესების დაცვის საქმეს: ადგენს მამულის აღწერილობას და დამფასებელთა კომისიის სხდომებშიაც მონაწილეობს. ვისაც ჰსურს ასეთ დახმარებით ისარგებლოს ვთხოვ პირადად მე მომმართოს ან კაბინეთის გამგეს პ. ანდრეევს“... და სხვ.

ჩვენ ამ განცხადებისათვის მაშინ ყურადღება არ მიგვიქცევია, თუმცა, სამწუხაროდ, თვით ამ განცხადებაშიაც შეუსაბამო აზრი იყო გამოთქმული თითქოს ბ. ანდრეევი მონაწილეობას იღებდეს დამფასებელთა კომისიის სხდომებში, როცა რუსეთის კანონის მეათე ტომის თანახმად დამფასებელთა კომისიაში მხოლოდ ადგილობრივ ადმინისტრაციისა და თანამდებობის

* ამ საკითხის გამო თავის აზრს რედაქცია შემდეგ გამოსთქვამს. რედაქცია.

წერილი „ქალების სასარგებლოდ და წინააღმდეგ“, თარგმანი ღვინიაშვილის ქალისა. 1871 წ. „მნათობშივე“ იბეჭდება „სგანარელი“ მოლიერისა, თარგმანი ელ. ყიფიანის ქალისა. 1871 წ. „კრებულში“ (წ. 4.) სერგეი მესხის წერილია „რა დაუკარგავთ ქალებსა და რას დაეძებენ ისინი“. (1871 № 3). 1870 წელს ქართველ მოწინავე ქალთა პირველი კოლექტიური შრომაც გამოდის: თარგმანი საამოსაკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართველი ქალებისაგან. წიგნი პირველი. ეს თარგმანი და გამოცემა მომზადდა ეკ. გაბაშვილის ცოლის, ეკ. მელიქიშვილის ქალის (შემდეგში მესხის ცოლის) და ელ. ყიფიანის ქალის თაოსნობით. ამ გამოცემის გამო „დროებაში“ ასეთ აღტაცებულ სიტყვებს ვპოვებთ: „ამ წიგნის გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში და ჩვენს ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლენებაა. თვითონ წიგნი მაინც და მაინც არაფრით არის მაგდენით ყურადღების ღირსი. მაგრამ ყურადღების ღირსი ის არის, რომ ეს წიგნი გადმოთარგმნილი და გამოცემულია ქართველ ქალებისაგან. როგორ სასიამოვნო არ უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის ის გარემოება, რომ ჩვენი ქალები, რომელნიც ამ უკანასკნელ დროებაში მხოლოდ სიყვარულზე, გათხოვებაზე, ცეკვა-თამაშზე და ტანისამოსზე ჰფიქრობდნენ, ჰკიდებენ ხელს ისეთს საქმეს, რომელსაც უეჭველია საზოგადოების რაიმე მნიშვნელობა უნდა ექმნეს?.. (№ 44, 1872 წ). მართლაც, იმ ხანებში ქართველი ქალები უმაღლეს სწავლასაც ეტანებიან ⁄ მათი ფსიხიური განწყობილება დროის მიხედვით იცვლება. პეტერბურგიდამ

წარმომადგენელნი უნდა შედიოდნენ. ყველას უფლება აქვს, რასაკვირველია, კანტორის გახსნისა და ჩვენც არაფრად ჩაგვიგდია ასეთი განცხადება. მაგრამ ეხლა, როგორც იწერება სოფ. პატარძეულიდან კორრესპონდენტი, თავ. ლ. დ. ანდრონიკაშვილი, ნ. ახმეტელაშვილი, კ. ტყავაძე და ანდრეევი საქმესაც შესდგომიან: მოგზაურობენ სოფლიდან სოფლად და ჩრდილს აყენებენ ყველაფერს, რაც თავ.-აზნაურობის მიერ არჩეულ კომისიამ, რომელშიაც შედიოდა ლ. გ. ჯანდიერი, ლ. ლ. ჩერქეზიშვილი და დ. ე. ჩოლოყაშვილი,—გააკეთა და, როგორც ბ. ჯიღაური იწერება, ქადაგებენ ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო და საზოგადო საქმის დამაბრკოლებელ აზრებს; ამ შემთხვევაში შეუძლებელია მათი ქადაგების უყურადღებოდ დატოვება.

კონცესია, ე. ი. უფლება კახეთის რკინის გზის გაყვანისა, უმაღლესად ეთაძა ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობას, ხოლო ამ უფლების სისრულეში მოსაყვანად დამტკიცებულია განსაკუთრებული წესდება სააქციონერო საზოგადოებისა, რომლის ძირითადი თანხა არას გზით არ უნდა აღემატებოდეს 13 მილ. მანეთს. აძნაირად საკირო იყო 13 ძილ. მანეთი ნაღდი ფული. ამ ფულის შესაგროვებლად ძთავრობამ ნება დართო სააქციონერო საზოგადოებას გამოუშვას ბირჟაზე, მსოფლიო ბაზარზე, ფასიანი ქაღალდები—ეგრედ წოდებული აქციები და ობლიგაციები. ამ ფასიან ქაღალდების სარგებელს უზრუნველჰყოფს თვითონ ძთავრობა. როცა მთავრობამ განიხილა ჩვენი საქმე, საქმე კახეთში რკინის გზის გაყვანისა, და გაითვალისწინა კახეთის ეკონომიურ ცხოვრების ყველა გარემოება (მცხოვრებთა რაოდენობა, სივრცე, ვაჭრობა-მრეწველობა და სხვ.), ნება დართო 1.800 ათას მანეთის აქციების, ხოლო დანარჩენი (13 მილ. მანეთამდის) მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ ობლიგაციების გამოცემისა.

აქცია (ღირებული 100 და 1000 მან.) გარდა იმისა, რომ ფასიანი ქაღალდია და ბირჟაზე გასავალი აქვს ხოლმე, იმით არის ჩვენთვის, ჩვენის საზოგადოებისათვის, ძვირფასი, რომ ანიჭებს თავის პატრონს საზოგადოებისწევრობის უფლებას. წევრები საქციონერო საზოგადოებისა კი წელიწადში ორჯელ—მაისსა და ნოემბერში—იკრიბებიან ხოლმე და ირჩევენ ხუთის წლის ვადით გამგეობას, სარევიზიო კომისიას და საზოგადოდ ყველა იმათ, რომელნიც ითვლებიან საზოგადოების წარმომადგენელად და განაგებენ ყოველგვარ იმის საქმეებს. კონცესია ჩვენ 81 წლის ვადითა გვაქვს ძოცემული.

ცხადი უნდა იყოს, რომ ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რათა აქციების უძრავლესობა ჩვენმა ხალხმა

ელისაბედ ყაზბეგის ქალი იწერებოდა: „როდის შევესწრებით იმ ბედნიერებას, როდესაც ჩვენი ძმები ათობით და ოცობით რომ ემგზავრებიან აქეთკენ და სხვაგან სასწავლოდ, ერთი ხუთიოდე (ამ ჟამად ამ მცირე რიცხვზე კმაყოფილი ვხდები) ქალიც ერიოს. აი ჩვენი ბედნიერება ქმარში კი არა ამისთანა გონებითს ცხოვრებაში იქნებოდა, დასძენს ჩვენი კორესპოდენტი, როდესაც ქირში დალხინში ჩვენ მოძმეებთან ერთად ვიქნებოდით და ერთნაირი სწავლის საშუალებით, ერთნაირი თვალით შევხედავდით ჩვენს ცხოვრებას, ერთი მხედველობა გვექნებოდა მომავალში, ერთს საქმეს ვემსახურებოდით და შევიქნებოდით ყოველად ღირსი ჩვენი ძმებისა და მომავალის ქმრებისა.. („დროება“, № 18, 1873 წ.).

მგონი საკმარისია ყველა ამ ფაქტების ჩამოთვლა იმ აზრის სათქმელად, რომ მესამოციანებში ქართველ ქალებშიაც დაიწყო გონებრივი მოძრაობა, რომელიც გამოისახა როგორც პრაქტიკულ მოქმედების ასპარეზზე, ისე განთავისუფლების პრინციპის წამოყენებაში. როგორც ვსთქვით ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. ინაშვილს, რომელიც ჩვენდა საუბედუროდ, დიდხანს აღარ იცოცხლა და სიკბუკეშივე მიუტევა სული. ამ ახალგაზდა მწერლის უდროვო სიკვდილის გამო, ნ. სკანდელი გვაძლევს რამდენსამე ცნობას მის სულიერ მდგომარეობის შესახებ. „მე არ შემიძლიან, ვკითხულობთ „დროებაში“, უმჯობესათ გამოვხატო გრძნობის და გულის პატიოსნება, მისი მაღალი მიზანი, როგორც მისივე სიტყვების დაბეჭდვით, რომელსაც ის ამ წლის მაისში მწერდა პეტერბურგიდან: „ეგენი („ზოგი-

---

შეიძინოს. მაშინ კახეთის რკინის გზის მოგებაც მთელი 81 წლის განმავლობაში ჩვენ, საზოგადოებისადარჩება და ჩვენს საზოგადო საქირეს მოხმარდება.

როგორც წინადაც ვსთქვი, აქციები 1.800 ათას მანეთისა უნდა გამოიცეს. მაშასადამე, თუ ადგილობრივ მკვიდრთ 900 ათასი და + 1 აქცია შეიძინოს, საქმის ჰატრონიც 81 წლის განმავლობაში ესენი იქნებიან, რადგან საზოგადო კრებაზე ყოველი საკითხი ხმის უმეტესობით უნდა გადაწყდეს და აქციებს, რომელიც ანიჭებს ხმის უფლებას, მეტი ნაწილი კი ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში იქნება.

რაღა არის ობლიგაცია? ობლიგაციები ეს, ასე ვსთქვათ, თამასუქებია, სარგებლიანი ქაღალდებია, რომელსაც რკინის გზის გამყვანი იძლევა, გამოაქვს ბირჟაზე გასაყიდად, რათა ამ ობლიგაციების განაღდებით შეაგროვოს რკინის გზის გასაყვანად საჭირო თანხა. ობლიგაციას 4—5% მოაქვს და ეს სარგებელი უზრუნველყოფილია მთავრობისაგან. ობლიგაციები ჩვენთვის არ არის საინტერესო, ობლიგაციების ბედ-იღბალში დაინტერესებულია უფრო ის ბანკი, რომელიც კისრულობს მათს დახურდავებას და წარმოებისათვის საჭირო თანხის განაღდებას.

თ-დი დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი.

(დასასრული. იქნება)

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა.

დეკეშები.

ურმია. გუბერნატორის ბრძანებით დააპატიმრეს სპარსელი, რომელმაც რუს ვაჭართა უსტაბაშის სოფლის მცხოვრები გლეხი მოჰკლა. ოსმალეთის კონსულმა გამოაცხადა, დაპატიმრებული ოსმალეთის ქვეშევრდომიაო და მოითხოვა განთავისუფლება. გუბერნატორმა უარი უთხრა. კონსულმა თავისი რაზმის 25 ასკერი გაჰგზავნა ციხეში, რომელთაც დაპატიმრებული გაანთავისუფლეს.

გაზეთებიდან.

ნ. ჩარიკოვის გადაყენების მიზეზი.

„ნოვოე ვრემიას“ წარმომადგენელს სტამბოლში მყოფ რუსეთის ელჩის ნ. ჩარიკოვის გადაყენების თაობაზე უბაასნია გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთ გამოჩენილ პირთან. გაზეთი სწერს: ნ. ჩარიკოვის გადაყენება გამოუწვევია მისსავე მოქმედებასაო. ჩარიკოვი თურმე სცდილობდა დამოუკიდებლობის მოპოებას და გარეშე საქმეთა სამინისტროს აგრე რიგად ყურს არ უგდებდა. მაგალითად, მან თავის ნებით დაიწყო მოლაპარაკება ოსმალეთთან სრუტეების შესახებ. როდესაც გარეშე საქმეთა სამინისტროს დაუნახავს, საქმე ცუდად არისო, ჩარიკო-

---

ერთი ყმაწვილები) - სწერს ინაშვილი სკანდელს, არიან „ბრმა წინამძღვრები... ხალხისა“ რა ძალა აქვს მაგათ სიტყვას? რაოდენათ ღრმა არის მაგათი აზრი? რამდენათ შორს და პირისპირათ გასჭრის საზოგადო საგნების შინაარსს მაგათი ანალიზი, მაგათი კრიტიკა? რავდენად ცხოველი და ნაყოფიერია მაგათი მოქმედება? რა საზოგადო იდეალი აქვთ მაგათ დახატული თავში? რა პროგრამა აქვთ მოქმედებისა.... შენ თითონ მითხარი, მეტყვიან თუ არა ეგენი ამაზედ პასუხს. ხეირიანად ამ საქმეზე არც ერთი იმათგანი არ მომზადებულა, ნიჭითაც ძალიან არ არიან დაჯილდოვებულნი. აი ვინ არიან წარმომადგენლები ჩვენი სახალხო აზრისა, აი ვისში გამოიხატება ჩვენი გონებითი მოძრაობა. მდგომარეობა მეტად სამწუხარო და საგრძნობელია. პატიოსან და მოაზრე კაცს ვალი აქვს მიაქციოს ამაზე ყურადღება, ვალი აქვს გვიჩვენოს ჩვენ ახალი გზა და ახალი ნათელი შეიტანოს ჩვენ ცხოვრებაში. რატომ არ უნდა დაღონდეს კაცი, როცა ჰხედავს, რომ კაცი დიდი ენერგიის და ნიჭის პატრონი უმოქმედო და უაზრო ცხოვრებას მისცემია. კერძო პირი არაფერიაო. კერძო პირი დამოკიდებულიაო საზოგადო გარემოებაზედ, ამბობენ. ეს მართალია. მაგრამ მაინც და მაინც კერძო პირსაც ბევრი რამ შეუძლიან. კერძო პირსაც ემართება ბრძოლა უმეცრებასთან, თუნდაც ამ ბრძოლაში დაიღუპოს. მაშასადამე ვიმოქმედოთ“. (№ 45, 7870 წ.).

დაუკმაყოფილებული წყურვილი აზროვნებისა და ბრძოლისა დაუკმაყოფელი დარჩა და სევდიანი, ხოლო იმედებით სავსე გული საფლავს მიეგარა!

არჩილ ჯორჯაძე.

ვისათვის აუკრძალავს მოლაპარაკების წარმოება, მაგრამ ელჩი არ დაჰმორჩილებია. გარდა ამისა, ნ. ჩარიკოვი მუშაობდა თურმე ბალკანეთის ფედერაციის შესაქმნელად ჯერ კიდევ ა. იზვოლსკისთან ერთად, მაგრამ ვერაფერს გამხდარა. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია ჩარიკოვის და სამინისტროს უკანასკნელ მიწერ-მოწერას ურმიის მდგომარეობის თაობაზე. სამინისტროში ცწობა მისულა, სპარსეთის არეულობამ ხელი შეუწყო ოსმალეთსა და ჯარი შემოჰყავს ურმიის პროვინციაშიო. როდესაც ამის გამო ნ. ჩარიკოვს შეჰკითხებიან, უპასუხნია: უსაფუძვლო შიშია, ოსმალეთის მთავრობას თავის დღეში სურვილი არა ჰქონია ურმიის აღებისაო („კავკ.“).

ჩინეთის რესპუბლიკა

დეკეშები

პეკინი პრეზიდენტის ბრძანებაში ნათქვამია: ეხლა, როცა სახელმწიფო გაერთიანდა, საადმინისტრაციო პირს ცალკე ოლქები აღარ უნდა ირჩევდნენო. ამის შემდეგ მოხელეებს გაამწესებს პეკინის მთავრობა, ვიდრე ამ საკითხს საეროვნო კრება არ გადაწყვეტსო.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეკეშები

ლონდონი. სარწმუნოდ ამბობენ, იტალიის პასუხი სახელმწიფოთა შეკითხვის გამო სამშვიდობოა ეს პასუხი სახელმწიფოებს ზავის იმედს აძლევს. ამბობენ, იტალიასთან მოლაპარაკებას არ შესწყვეტენ, ვიდრე იგი შესარიგებელ პირობებს არ წარმოადგენსო.

რომი. „პოპოლო-რომანო“ ნაციონალისტურ პრესას უპასუხებს და ამბობს, იტალიის საზავო პირობებში ჩვენი დამამცირებელი და ღირსების შემლახველი არაფერიაო.

დეკეშები

(დეკეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

7 მარტი.

მაკედონელთა საქმე.

სოფია. ჩამოვიდა ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივანი და განათლების სამინისტროს ინსპექტორი. მათ მოლაპარაკება ჰქონდათ მაკედონელთა ორგანიზაციებთან, რა პირობებით დასთანხმდებით არეულობისა და რაზმების თარეშის მოსპობაზეო. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა უპასუხეს, ოსმალებთან მოლაპარაკება არა გვსურს და ვიმოქმედებთ, ვიდრე ევროპა არ ჩაერევა ჩვენს საქმეში, ან ავტონომიას არ მოვიპოვებთო.

ხონთქარის ბრძანება.

სტამბოლი. ხონთქარმა გამოსცა კრებისა და პრესის კანონი, რომელიც პალატამ უნდა დაამტკიცოს. პრესის კანონის მიხეთვით სტატხოლქალაქში გაზეთის გამოსაცემად საწინდრად 500 მანეთი უნდა წარმოადგინოს, პროვინციის გაზეთის რედაქტორმა 200 მანეთი. კრებებს ნებას დართავენ, მხოლოდ განსაზღვრულ შენობებში და პოლიციის ზედამხედველობით.

საფრანგეთის პალატა.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ 286 ხმით 245 წინააღმდეგ მოიწონა საარჩევნო კანონ-პროექტის ოცდა პირველი მუხლი, რაიც ნებას იძლევა ზოგიერთ შემთხვევაში ამომრჩეველთა სიების შეერთებისას. შემდეგ მიიღეს მუხლები, რაიცა ეხებოდა ადგილების პირველ პროპორციონალურ განაწილების შემდეგ დარჩენილ ადგილების განაწილებას. კანონ-პროექტის უმთავრესი ნაწილი პალატამ მოიწონა.

გაფიცვები.

ლონდონი. შოტლანდიის მაღაროებში მშვიდობიანობა აღადგინეს.

საზოგადოებათა პალატამ ერთხმად მიიღო ქვანახშირის მრეწველობაში ხელფასის მინიმუმის პროექტი. პროექტი კანონად შაბათიდან ჩაითვლება.

ბოხუმი. მუშათა ორგანიზაციის საოლქო კონფერენციამ გადასწყვიტა გაფიცვა შესწყვიტოს. ყველა გაფიცულ რაიონებში მუშებს კრება ჰქონდათ, გადასწყვიტეს 7 მარტს ყველამ მუშაობა დაიწყოს.

სამინისტროს გადაწვის განზრახვა.

სტამბოლი. სამსახურიდან გადამდგარ პორუჩიკს იზმაილს იუსტიციის სამინისტროს გადაწვა უნდოდა. ნავთი გადაასხა ხის კიბეს, მაგრამ სამინისტროს შიკრიკმა შეიპყრო. იზმაილმა განაცხადა მინდოდა ყველაფერი გადამებუგა, სხვათა შორის ჩემი შემარცხვენელი საბუთებიცაო. პორუჩიკს სამსახურს გარეშე მყოფი კაპიტანი აბდულა-თეფიკი ეხმარებოდა. ბოსფორს რომ გადიოდნენ ნავით, იზმაილი ზღვაში გადავარდა, მაგრამ პოლიციამ გადაარჩინა. ამბობენ, შეიძლება საპოლიტიკო მიზნით ჩაიდინა ეს საქმეო.

ინგლისის პალატა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ჩერჩილმა სთქვა, საფინანსო თვალით რო შევხედოთ ხარჯთ-აღრიცხვას, საქმე კარგად ვერ არისო. ჩერჩილს ინგლისის გამანადგურებლად მიაჩნია თუნდ ერთის დღის წინად, ვიდრე საჭიროა, გემის გაკეთება, ინგლისს არაფერი შიში მოელის. წინანდელი მეტოქეობა ორის სახელმწიფოსი, ეხლა სახსენებელი არ არის. ბოლოს დროს კანონად გადაიქცა, რომ ინგლისის ფლოტს გერმანიის ფლოტზე 60% მეტი ჯავშნიანი გემი უნდა ჰქონდეს. ინგლისს შეუძლიან ეხლაც ამ გზით იაროს. ინგლისი მომგერებელ პოლიტიკას უნდა აწარმოებდეს. ინგლისს 57 სამხედრო გემი აქვს და თუ საჭირო იქნება, 65 გამოჩნდება. ჩვენს შემდეგ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს კი 38 გემი აქვს. თუ სხვა სახელმწიფოებმა გააძლიერეს ფლოტი, მაშინ იქნება მხოლოდ საჭირო ჩვენის ფლოტის გაძლიერებაო.

იტალიელთა დემონსტრაცია.

ტრიესტი. სლოვინთა გაზეთის „ერთობის“ სიტყვით, ისტორიაში ხორვატელთა და სლოვინცების წინააღმდეგ იტალიელებს დემონსტრაცია გაუმართავთ. წესიერება ძლივს აღუდგენია ჟანდარმერიას.

გაფიცვა.

ვალანსიენი. სინდიკატების დელეგატებმა გადასწყვიტეს გაფიცვა გამოაცხადონ და საერთოდ გადაქციონ, მუშათა მოთხოვნილებაა: რვა საათის სამუშაო დღე და 25 წლის სამსახურის შემდეგ პენსიის, დღეში ორი ფრანკის (75 კაპ.) დანიშვნა. 13 ათას კაცში ნახევარი გაფიცულია.

ამუნდსენი.

ქრისტიანია. ამუნდსენის სასარგებლოდ შეაგროვეს 40 ათასამდე. კომიტეტი მოითხოვს ამუნდსენისათვის კიდევ 100 ათასს ჩრდილოეთის პოლიუსთან გასამგზავრებლად.

რუსეთი

პროფე' იანალურკავშირების აკრძალვა.

პეტერბურგი. გააუქმეს პოლიგრაფიულ მრეწველობისა და ლითონების დამმუშავ ბელ მუშათა პროფესიონალური კავშირები. მიზეზად ის ყოფილა, რომ ამ კავშირებს დებულებაში აღნიშნულ წესებისათვის გადაუხვევნიათ და მათს მოქმედებაში საზოგადოებრივ მშვიდობიმნობის საფრთხე დაუნახავთ.

სტუდენტ-აკადემიკოსების კრება

სტუდენტ-აკადემიკოსების წარმომადგენელთ კრების უფლება მისცეს 11, 12 და 13 მარტს.

ინგლისის გაფიცვის გავლენა.

არხანგელსკი. ინგლისის გაფიცვის გამო ბევრმა ფირმამ შესწყვიტა ნახშირის გაყიდვა. ფუთი ნახშირი 30 კაპეიკად იყიდება ნაცვლად 20 კაპ.

პასუხის მაგიერი

ბ-ნს ჟორდანიას ღია წერილზე ჩვენ ვუპასუხეთ იმდენად ვრცლად, რავდენადაც ამას მოითხოვდა სიკეთე საქმისა. ჩვენის მხრივ ბ-ნს ჟორდანიას დავუყენეთ თუნდა ოთხი საკითხი, რომელზედაც თვითეულად უნდა პასუხი მოეცა. მაგრამ მან ამ სასითხებს გვერდი აუარა, ზურგის შეაქცია, და სანაცვლოდ დააყენა იმისთანა პოლემიკური კორიანტელი, რომელიც საზოგადო საქმეს ავნებს და არ არგებს. სხვა არა იყოს რა, იგი ჯანყსა და ბურუსში ახვევს საზოგადოების თვალში დიდს საკვეყნო საკითხს, რომლის პრინციპიალურს მხარეებს რავდენსამე წერილში სინათლე მოვფინეთ.

ამ სინათლეს თავის მხრივ დაუმატა ახალი შუქი ბ-ნმა იაკობ ფანცხავამ, რომლის მკაფიო და საყურადღებო წერილი გადმობეჭდილ იქმნა გაზეთ „კოლხიდიდან“ „სახალხო გაზეთის“ იმ ნომერში, რომელშიაც მოთავსებული იყო ჩვენი პასუხი ბ-ნ ჟორდანიასადმი. თავისს დახასიათებაში ბ-ნმა ფანცხავამ იმედი გამოაცხადა, რომ ის საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ახლოდან უცქეროდნენ ბ-ნის ჟორდანიას მოქმედებას და ყველაფერი დაწვრილებით იციან, თავის მხრივ გულახდილად აუწყენენ საზოგადოებას სრულს სიმართლესა. ერთი ამ პირთაგანი ბძანდება მამა კელენჯერიძე, რომელსაც კლანჭი გამოსდო ბ-ნმა ჟორდანიამ თავისს უკანასკნელს წერილში. ვგონებ, რომ არც ეს სასულიერო გვამი შეუშინდება სინამდვილის გამომჟღავნებასა.

მოვალეობა ჩემი მოხდილად მიმაჩნია და კრინტსაც აღარ დავძრავ ამ საქმის შესახებ, რომლის საარსო, პრინციპიალური მხარეები, ვიმეორებ, რავდენჯერმე საკმარისად განვუმარტე მკითხველებსა.

პირადობა კი ვისიმე ჩვენ არც გვაინტერესებდა და არც ეხლა გვაინტერესებს, რის გამოც პირადად არც ერთხელ არ შევხებივარ არც ბ-ნს ჟორდასიას და არც სხვას ვისმე.

აგრეთვე ყოველს პირადობას მოშორებულნი იყვნენ და მხოლოდ საქვეყნო საქმეს იცავდნენ ის მასწავლებლები, რომელთაც გამომიგზავნეს კოპია საბჭოს გადაწყვეტილებისა და დამავალეს—ხმა ამემაღლებინა იმ მაგნე ცვლილების წინააღმდეგ, რომელიც ქუთათურს საბჭოს მოეხდინა სამოსწავლო გეგმაში.

იაკობ გოგებაშვილი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს, 8 მარტს, ქართველი მსახიობნი ი. გედევანიშვილის ოთხ-მოქმედებიან დრამას „გამცემს“ წარმოადგენენ. წარმოდგენაზე დასასწრებლად საგანგებოდ მოწვეულია პიესის ავტორი ბ-ნი გედევანიშვილი.

სახალხო სახლი: დღეს 8 მარტს ზუბალაშვილის სახალხო სახლში რუსულ დრამატიულ წრისაგან წარმოდგენილ იქნება რეჟისორის თანაშემწის ბ.ზ. ოსეტროვის საბენეფისოდ „დაძირული ზარი“. მონაწილეობას მიიღებენ მსახიობი ა. მესხი და ზერტონოვი.

ნადსონის დილა.

კვირას, 4 მარტს მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ სახაზინო თეატრში გამართა სალიტერატურო დილა, რუსეთის პოეტ ნადსონის სახსოვრად. მასწავლებელმა ბ. **რიმსკი-კორსაკოვმა** დილის დასაწყისში მოკლე რეფერატი წაიკითხა, რომელშიაც აღნიშნა ნადსონის, ამ სევდიან მგოსნის, ბიოგრაფია და დაახასიათა მისი ნაწარმოებნი. რეფერატი ცოცხლად და გარკვეულად იყო წაკითხული და დამსწრე საზოგადოებამ ლექტორი ტაშის ცემით დააჯილდოვა. საზოგადოებას აჩვენა ცოცხალი სურათები: **„დედა“, ნადსონის საფლავის ძეგლი, „ქრისტიანი ქალი“** და **მხიარული ზღაპარი“.**

ნიკოლაევმა შოპენის სამგლოვიარო მარში დაუკრა. **ჭ-ნმა ლვინსკაიამ შეასრულა** მელო დეკლამაცია: **„შენს სიყვარულზე ხშირად მიოცნებია“.** ბ. **ბაიანოვმა** იმღერა რომანსი: **„ბაგენი ჩემნი სდუმან“, ჭ. სპენდაროვისამ** წაიკითხა ლექსები ნადსონისა: **„დედა“** და **„ქრისტიანი ქალი“, ზავრიევმა** საუცხოოდ წაიკითხა: **„უხსოვარ დროიდან“** (ფანტაზია) მსახიობმა კოტე ყიფიანმა წაიკითხა: „გაზაფხულის ზღაპრები“.

საზოგადოდ ლექსებს სუსტად კითხულობდნენ.

სუსტად შეასრულეს რომანსები ქ-ქ. მარცინკევიჩისამ და ნიკოლოვისამ, პირველმა: „ჩაფიქრებულ ბაღის ჩრდილში“ და უკანასკნელმა: „ნუ მეტყვით—იგი მოკვდა“.

საერთოდ დილა სუსტი იყო. გვეგონა, მასწავლებელ ქალთა საზოგადოება უფრო შესაფერისად აღნიშნავდა ნადსონის ხსოვნას. დილას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

სანდრო.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაძები ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2. I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. [illegible] წ.

3) საფოსტო მატ. № 4. I—[illegible] კლ. ღამ. [illegible] ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, [illegible]—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6, I—[illegible] კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 4 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/10, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

განცხადებანი

საჩუქარი

ამ გაზეთის მკითხველთ

650 ნივთი **მხოლოდ 3 მ. 90 კ.**

1. **მშვენიერი საათი-ანკერ** სწორედ მოსარულე, ექვსი წლის თვდებობით.
2. **საუცხოო საქალებო ბეჭედი,** ამერიკულ ბრილიანტით.
3. **ჩინებული მანიკი,** მრავალ აღმოსავლ. მარგალიტებით და პატენტ. შესაკრავით.
4. **მოხდენილი და ლაზათიანი ქალის სამაჯური** ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, მშვ. ამერიკ. ბრილ.
5. **ჯიბის ლამაზი „ნესესერი“** ოთხის ნივთით.
6. **ერთი წყვილი საყურე** საუცხოო ამერიკულ ბრილიანტით. და პატარა შესაკრავი.
7. **მშვენიერი და ლაზათიანი** ტყავის საფულე.
8. **ალბომი 50 საყურადღებო სანახაობით.**
9. **მუშტუკი-აპარატი ექიმ კობისა,** თუთუნის ბავნებლობის აბილებელი.
10. **მექანიკ. დასაკეცი მაკრატელი** მშვენიერის ბუდით.
11. **და კიდევ 100 მეტი სხვა საგულისხმო და სასარგებლო ნივთი.**

სულ, 650 ნივთში, საათიანად მხოლოდ 3 მან. და 90 კაპ. (მხოლოდ საათი ღირს ამ ფასად).

ვინც ერთიდან სამ წყვილას მაინც დაიბარებს, გასაგზავნ ხარჯად იხდის 55 კაპ., ციმბირში კი—95 კაპ.

მისამართი: O-ву „Меркурій“, Лодзь, Л. 5. თუ არ მოიწონებთ, ფულს უკანვე დაგიბრუნებთ. წერილები გთხოვთ დასწეროთ რუსულად. Метцль и Ко.

1920 (3—[illegible]118—3)

ექიმ ნავასარდიანის პირველი პერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შეშხაკუნება

კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ვ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგ ანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. [illegible]074.31)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნერვებისა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. ვ. ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას აბდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.

(100—1615—32)

ექიმი ალ. კბილისა

ალ. სოლოღლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის ბრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი

ბ. ბუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე. დილ. 9—11 ს. ღ. ღ. მთავრის ქ., № 67. [illegible]

სამშობიაროსა და თავშესაფარი თუსარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით ნეიულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ.**

(თ. 1646.3)) **მიკირტუმოვი.**

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე
სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.

„ზიოგზის ზროამა“

სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფეხვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფეხვ. 1000—6—10 მან. 3) საღობავი ეკალი (ბლედინია) 100—3—6 მან.

დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** (ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორგ. ბეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—4)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კალმარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—9)

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

ძ. შ. წ. კ. გ. უმთავრეს საზ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

თხზულ. **ე. გაბაშვილისა**	1	მ.	20	კ.	
ჭავჭავაძისა: კაცია-ადამიანი?!			20	„	
ვლახის ნაამბობი			2	„	
ოთარაანთ ქვრივი			18	„	
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი			3	„	
სახრჩობელაზე			5	„	
მგზავრის წერილები			7	„	
ვლეხთა განთავისუფლებ. პირველი დროის სცენები			7	„	
უცნაური ამბავი			4	„	
რჩეული ლექსები			7	„	
განდეგილი			5	„	
კაკო ყანჩაღი			5	„	
დედა და შვილი			3	„	
დამიტრი თავდადებული			7	„	
აი ისტორია			35	„	
ცხოვრება და კანონი			25	„	
კრიტიკული წერილები			25	„	
პოლემიკური წერილები			10	„	
ახლად შემოსული წიგნები:					
ოცნება, აკაკისა			10	„	
ორი მხატვარი, ნათარგ. ავალიანისა			15	„	
დაღი, დრამა 3 მოქმ. გლახაზვილისა			20	„	
სამი საყმაწვილო ამბავი. ვაჟა-ფშაველასი			15	„	

წიგნები ფას-დადებითაც იგზავნ**ება.**

ადრესი: Тифлисъ Книжный магаз. О—ва распр. грамот. ср. груз. населенія. (წ.—1141—1)

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაგორატორია.“

1860 წელს დაარსებული.

ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად

პარიზი 1900. ფვავილის ო-დე-კოლონი,

„საუცხოვო აკაცია“,
„ნუ დამივიწყებ“,
„მხიბლავი სუმბული“.

თავისებური, საუცხოვო და ხანგრძლივი
უმაღლესი ღირსებისა.

მთავარი საწყობი: ტფილისი, საავფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (23.1292.14)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-ლური ივავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій пр. д. № 8 და წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიციარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიან ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტარაფინ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიავშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ბათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოსიპოვარიასთან.

(წ.—[illegible]627—41 წ.) რედაქტორი ორი **ნინო ნაკაშიძე-** გამომცემელი **თავ. პავლე** [illegible] **ის ძე თუმანიშვილი.**